პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 86 (20782) ოთხშაბათი, 11 აპრილი, 1990 წელი. ფასი 3 კაპ.

ტემპი დაეჩქარეს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელებმა მნიშვნელოვნად დააჩქარეს მუშაობის ტემპი. გაეუმჯობესებინა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მარტენის საამქროს მეფოლადეები დღეს განსაკუთრებული მონდომებით საქმიანობენ, რადგან ხედავენ, რომ შრომა სათანადოდ უფასდებათ.

სურათზე: მეფოლადეები ელგუჯა ხელაია და ტარიელ ცოცქაშვილი.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ

მუხლი 1. საგანგებო წესები არის დროებითი ღონისძიება, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად ცხადდება სსრ კავშირის მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, აგრეთვე მასობრივი არეულობის დროს.

საგანგებო წესების გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზება, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა.

მუხლი 2. მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან ერთი რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესებს აცხადებს შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რასაც ატყობინებს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, სსრ კავშირის პრეზიდენტს, აგრეთვე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

სსრ კავშირის მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის სსრ კავშირის პრეზიდენტი აფრთხილებს ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, ხოლო, თუ საჭიროა, შემოიღებს კიდეც შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თხოვნით ან თანხმობით. ასეთი თანხმობის უქონლობის შემთხვევაში შემოიღებს საგანგებო წესებს და დაუყოვნებლივ შეიქმნება მიღებული გადაწყვეტილება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დასამტკიცებლად. ამ საკითხზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება მიიღება უმრავლესობით, რომელიც უნდა შეადგენდეს საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორ მესამედს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო საგანგებო წესებს შემოიღებს მთელ ქვეყანაში.

მუხლი 3. საგანგებო წესების შემოღებისას აღინიშნება ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივები, მოქმედების ვადა და ტერიტორიული საზღვრები.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, სსრ კავშირის პრეზიდენტს, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომლებმაც საგანგებო წესები გამოაცხადეს, უფლება აქვთ გაუქმონ იგი დადგენილი ვადის გასვლამდე.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, სსრ კავშირის პრეზიდენტს, ან მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შეუძლიათ გაახანგრძლივონ საგანგებო წესები, თუ არ აღმოფხვრა გარემოებანი, რომლებიც მისი გამოცხადების საფუძველი გახდა, და თუ გახანგრძლივების სხვა წესი არ არის კანონით დადგენილი.

საგანგებო წესების შემოღების, გახანგრძლივების ან გაუქმების გადაწყვეტილება ძალამოსილია მისი მიღების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის საგანგებოდ დათქმული, და დაუყოვნებლივ ქვეყნდება.

მუხლი 4. საგანგებო წესების პირობებში, კონკრეტულ გარემოებათა კვალობაზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებანი:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის ცხოველქმედებას;

2) დროებით გაასახლონ მოქალაქენი საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, ამასთან უსათუოდ მისცენ სტაციონარული ან დროებითი სხვა საცხოვრებელი სადგომები;

3) შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

4) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი); გაამკაცრონ საზოგადოებრივი ცხოვრების დამრღვევენი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული.

5) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — აგრეთვე სასწავლო სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

6) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

7) შეიტანონ ცვლილებანი საწარმო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დაიწესონ საწარმოებს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

8) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს; აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, სპპ-ითი მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

9) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსები საგანგებო ვითარების შედეგების თვითდან აცილება'ა და ლიკვიდაციისათვის;

10) აკრძალონ გაფიცვების მოწყობა;

11) ჩაიბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

12) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღის, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებების, აგრეთვე სპირტიანი სასმელებისა და სპირტშემცველი ნივთიერებების ვაჭრობა;

13) შემოიღონ კარანტინი და გაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

14) შეზღუდონ ან აკრძალონ სამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეოჩამწერი ტექნიკის გამოყენება;

ჩამოართვან, ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დაუწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

15) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის განსაკუთრებული წესები;

16) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

17) შემოიღონ კომენდანტის საათი;

18) შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების, მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა, რომლებიც აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

19) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის კანონმდებლობით;

20) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო საჭიროების შემთხვევებში, თუ გიგეგეს, რომ მოქალაქეებს იარაღი აქვთ, მოაწყონ პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების გასინჯვა.

მუხლი 5. სსრ კავშირის ან შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ დროებით გააუქმონ იმ ადგილებში მოქმედი ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული.

საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამუშაოთა კოორდინაციისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოებს ან მათს აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ შექმნან სპეციალური დროებითი ორგანოები.

მუხლი 6. საგანგებო წესების პერიოდისათვის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ საჭიროების შემთხვევებში გადაიყვანონ მუშა-მოსამსახურენი, მათ დაუკითხავად, სამუშაოზე, რომელიც არ არის დათქმული შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 7. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ან გამოვიდნენ თავიანთი ბინის ფარგლებს გარეთ, თუ არ ექნათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესის დამრღვევ პირებს აკავებენ მილიცია ან სამხედრო პატრულები კომენდანტის საათის დამთავრებამდე, ხოლო იმათ, ვისაც თან დოკუმენტები არ აღმოაჩნდება, — მათი პიროვნების დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი დღისა; დაკავებულნი შეიძლება პირადად გასინჯონ, აგრეთვე შეიძლება გაუსინჯონ ნივთები, რომლებიც თან აქვთ.

მუხლი 8. მე-4 მუხლის 3, 4, 6, 10 და 12-16 პუნქტების შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების, აგრეთვე ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ათას მანეთამდე ჯარიმის სახით, ანდა დაპატიმრებას თხუთმეტ დღემდე ვადით, თუ ეს დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. პროვოკაციული ხმების დაყრა, მართლწესრიგის დარღვევის პროვოკაციულად გამნვითარების დაჩქარებული პროგრამა, რომელიც ორი ათას წლამდე არის გათვალისწინებული. ამ დროისათვის დასახულია ამომქმედონ დაახლოებით 60 მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომლთაგან ნახევარი ხელახლა აშენდება, ნახევარი განახლდება.

დღეისათვის უკვე შოქმედებს მცირე ჰიდროელექტროსადგურები დმანისის რაიონის მდინარე მაშავერაზე, ლაგოდეხის რაიონის მდინარე კაბალზე, ქობულეთის რაიონის მდინარე კინკიშაზე. ინტენსიურად შენდება კიდევ ათი ობიექტი.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა საქმთავარენერგოს მთავარი ინჟინრის მოადგილემ, გაერთიანების ჰიდროტექნიკური სამსახურის უფროსმა რევაზ სულაბერიძემ, საქართველოს თითქმის ყველა პატარა მდინარე, ასეთი კი ჩვენს რესპუბლიკაში დაახლოებით ათასია, შეიძლება გამოიყენოთო ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის. რაც დანერგილი იყო კიდეც პრაქტიკაში ბასული საუკუნის დამლევიდან. მიმდინარე საუკუნის შუა წლებიდან კი საქართველოში უკვე მოქმედებდა 400-ზე მეტი მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელთა რიცხვი შემდეგ წლითიწლობით მცირდებოდა. საქმე ის არის, რომ ჰიდროენერგეტიკამ რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მკვეთრი შემობრუნება მოახდინა მსხვილი ობიექტების შენებლობისაკენ. დაიწყო თავისუფალ ან ეროვნული შუღლის ჩამომგდები მოქმედება, მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისადმი აქტიური წინააღმდეგობა, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახალხო რაზმელის ან სხვა იმ პირების კანონიერი განკარგულებისა თუ მოთხოვნისადმი ჯიუტი უურჩობა, რომლებიც ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას ან ახდიან საზოგადოებრივ წესრიგის დასაცავად, ანდა სხვა მსგავსი მოქმედება, რომელიც აღღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს, ან ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა, რაც ჩადენილია ადგილებში, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული, — იწვევს ათას მანეთამდე ოდენობით დაჯარიმებას ან ოცდაათ დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას.

აღნიშნული სამართალდარღვევების საქმეთა ოქმებს ადგენენ საამისოდ უფლებამოსილი მინდგან საქმეთა ორგანოების ან ცალკეული ადგილის კომენდატურის მუშაკები.

საქმეებს ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ სამი დღის ვადაში ერთპიროვნულად განიხილავენ სახალხო მოსამართლე, ან მინდგან საქმეთა ორგანოს უფროსი, ან მისი მოადგილეები, ანდა ცალკეული ადგილის კომენდანტი.

მუხლი 10. საგანგებო წესების პირობებში აკრძალული გაფიცვის ხელმძღვანელობა, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობისადმი წინააღდგომა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ათი ათას მანეთამდე ჯარიმით ან ორ წლამდე ვადის გამასწორებელი სამუშაოთი, ანდა სამ წლამდე ვადის თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 11. გამონაკლის შემთხვევებში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ან სსრ კავშირის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარის ნაწილები. ეს ნაწილები მოქმედებენ სამხედრო წესდებებისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფლება-მოვალეობათა შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციისათვის მობილიზებული ჯარის ნაწილების მოქმედების კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის, აგრეთვე შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლების ორგანიზაციის მიზნით, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ან სსრ კავშირის პრეზიდენტის დავალებთ სსრ კავშირის მინაგან საქმეთა მინისტრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ შეიძლება შექმნან ერთობლივი ოპერატიული შტაბი და დანიშნონ შესაბამისი ადგილის (რაიონის) კომენდანტი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი

მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 3 აპრილი.

ПРЕЗИДЕНТИС САБЧОС СХДОМА

9 აპრილს სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა საპრეზიდენტო საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ლიტვის სს რესპუბლიკაში და ამ რესპუბლიკის გარშემო შექმნილი სიტუაცია. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პასუხი სსრ კავშირის პრეზიდენტის მიმართვაზე გამსჭვალულია არაკონსტრუქციული სულისკვეთებით და არ ასახავს პრობლემის გადაჭრის რეალურ გზებს, არსებითად ჩიხში აქცევს საქმეს. თავისი ანტიკონსტიტუციური მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ღონისძიებების ესკალაციით ლიტვის ახლანდელი ხელმძღვანელობა ფფერხებს კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობას. ამწვავებს ვითარებას რესპუბლიკაში, რისთვისაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება.

საპრეზიდენტო საბჭოს წევრებმა, ხელმძღვანელობენ რა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობის მანდატით, გამოიტანეს დასკვნა, რომ საჭიროა ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ხასიათის შემდგომი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სსრ კავშირის კონსტიტუციის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების, მთლიანად ქვეყნის ინტერესების დაცვა.

(საკდესი).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ“ მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ლუკიანოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 3 აპრილი.

ვილნიუსმა გაითავისა საქართველოს ტკივილი

თბილისი. 1989 წლის 9 აპრილს უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას აღსანიშნავად ცხრამეტი კელაპტარი აინთო ვილნიუსის საკათედრო მოედანზე 9 აპრილს საღამოს. და ზეციდან ზეციერ ანგელოზთა ფერადოვანი ფანარი ვარდი გამოხატავდა ლიტველი ხალხის ტკივილს, გლოვასა და თანაგრძნობას. ეს ვარდები ქალაქის გულში — ვილნიუსის არქიეპისკოპოსთა ტაძარში მოიტანეს ლიტვის ქართველთა საზოგადოების „ივერიის“ წევრებმა, ვილნიუსის საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა, ეროვნებათშორისი ასოციაციის, ლიტვის ეროვნებების საქმეთა კომიტეტის, სხვადასხვა კულტურული საზოგადოების, „საუდისის“ წარმომადგენლებმა.

ტრაგედიის წლისთავის წინ ლიტვის ფოტოხელოვანთა კავშირის ვილნიუსის ფოტოგალერეაში გაიხსნა ფოტოსურათების გამოფენა, რომლებიც საქართველოდან გამოგზავნეს და ასახავს თბილისში მომხდარ ამბებს, რესპუბლიკის აღორძინებას, გამთავისუფლებელ ბრძოლას.

დანუტე ბილოტაიტე,
ელტას კორ,
სპეციალურად საქინფორმისათვის.

„კომუნისტის“ მრგვალი მაგიდა

პროგნოზი და სინამდვილე

ფეროშენადნობი ეროვნული სიმდიდრე გახდება

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 6 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ვიდრე ღუმელი არ გაჭვავებულა“, რომელშიც ლაპარაკი იყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შექმნილ რთულ სიტუაციაზე, უდავოდ გადახაწყვეტ ტექნიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე. ზემოხსენებული სტატიის დაწერის მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ ელექტროენერგიის უქონლობის გამო გაჩერდა ქარხანა, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა, დამოკიდებულია ასობით სხვა საწარმოს მუშაობა.

იმასაც ვიუწყებოდით, რომ იმ დროს ქარხანას ეწყვინენ მეცნიერები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი **ლევან ჯაფარიძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანგანუმისა და მისი ნაერთების პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ჯემალ შენგელია**, მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **თენგიზ ჩუბინიძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **სერგო მაჭავარიანი**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ აგლაძე**, მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თენგიზ სიბაშა**, მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ილია ბარათაშვილი**, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე **კარლო ლეჟავა**. მრგვალ მაგიდასთან გამართულ საუბარში მათთან ერთად, ცხადია, მონაწილეობდნენ ქარხნის დირექტორი **პაატა ცინაძე**, აგრეთვე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტები. დაპირებისამებრ, დღეს გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

კორესპონდენტი: პირველი სიტყვა, ალბათ, ქარხნის დირექტორს ეკუთვნის.

პ. ცინაძე: გმადლობთ, დავიწყებ იქიდან, რომ ჩვენმა ქარხანამ ძალიან ბევრი გააკეთა ზესტაფონის სოციალური განვითარების, მისი ინფუსტრიული ქალაქად გადაქცევისა და ათასობით ადამიანის დასაქმებისათვის. ქარხნის აშენების იდეა ქიათურის უნიკალური მანგანუმის საბადოების არსებობას უკავშირდება. ჭიკრადღიერებული ფეროშენადნობების საერთაშორისო ბაზარზე ზღვით გატანის საშუალება იქმნებოდა. მართალია, ადრე ამ საქმეს თავი ვერ დაედგა, მაგრამ, ახლა, როცა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე კეფქრობთ, ეს შეიძლება რეალური გახდეს და საქართველომ 300 მილიონზე მეტი თავისუფლად კონვენტირებული ვალუტა შემოვიდეს.

კ. ლეჟავა: დიახ, ზესტაფონის ქარხნის პროდუქციამ საერთაშორისო ბაზარზე ყველა მანგანუმშემცველ ფეროშენადნობს შეუძლია გაუწიოს კონკურენცია. საქმე ის არის, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ერთ სულ მოსახლეზე ორჯერ და მეტად უნდა გავზარდოთ ეროვნული შემოსავალი. მიზნის მისაღწევად საჭიროა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება. რაც შეეხება ექსტენსიურ განვითარებას, ამის საშუალება ჩვენ არა გვაქვს, საქართველო მცირემიწიანია. გარდა ამისა, უნდა გავუფრთხილდეთ მუშახელსა და მატერიალურ რესურსებს. ამიტომ წინა პლანზე იწევს მრეწველობა და აქედან გამომდინარე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის განვითარება, რომლის გენერალურ რეკონსტრუქციასაც, ელექტროენერგიის მოხმარებისა და მუშების რაოდენობის გაუდიდებლად, შეუძლია ორნახევარჯერ გაადიდოს პროდუქციის გამოშვება.

კორესპონდენტი: თქვენ ლაპარაკობთ ქარხნის პერსპექტივაზე და ამტკიცებთ, რომ მისი რეკონსტრუქციის შემდეგ პროდუქციის გამოშვება მკვეთრად მოიმატებს. შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ დღეს ქარხანა გაჩერებულია.

კ. ლეჟავა: სწორი ბრძანდებით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში შეადგენს 3300 კილოვატსაათს, როცა ეს მაჩვენებელი კავშირის მასშტაბით 5500 კილოვატსაათია. თუმცა, ესეც ძალიან მოკრძალებული ციფრია. თქვენ თვითონ ბანსაჯეთ: განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 15-18 ათასი კილოვატსაათი, ხოლო ნორვეგიაში, მაგალითად, 25 ათასი კილოვატსაათიც მოდის. ასე რომ, რესპუბლიკაში ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა და ამის დამამტკიცებელია საწარმოს გაჩერებაც. ქარხნის შეუფერხებელი მუშაობისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა მისთვის ავტონომიური ენერგეტიკული ბაზა შეიქმნას.

თ. სიგუა: რადგან მრგვალ მაგიდასთან გამართული საუბარი პრესაში ქვეყნდება, მინდა მკითხველმა ისიც იცოდეს, რომ მანგანუმი ფოლადის მისალები აუცილებელი მასალაა, ურომლისოდ არ არსებობს არც ერთი მარკის ფოლადი. მრავალი წლის მეცნიერულმა ძიებამ ვერ გამონახა მანგანუმის შემცვლელი. ამის გარდა, მანგანუმს სულ უფრო ფართოდ იყენებენ ელექტროტექნიკურ, ელექტრონულ და ქიმიურ მრეწველობაში, ფერად მეტალურგიაში, კერამიკისა და მინის წარმოებაში. მაგ მეტალურგიაში კი მანგანუმი ფეროშენადნობთა სახით გამოიყენება.

დღეს ქარხანას ენერგია არა აქვს და გაჩერებულია. უმოქმედოა საწარმო, რომელიც დამოუკიდებლობის პირობებში, განსაკუთრებით კი მის პირველ წლებში, გარკვეულწილად შეუწყობდა ხელს საქართველოს მყარად დადგომას ფეხზე. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას შეუძლია შემოგვიტანოს პირველი კატეგორიის ვალუტა.

თ. ჩუბინიძე: ქარხნის არსებობა ზისი ელექტროენერგიით შეუფერხებელმა მომარაგებამ უნდა განაპირობოს. საამისოდ საჭიროა, როგორც უკვე ითქვა, მისი ავტონომიური ენერგეტიკული წყაროთი უზრუნველყოფა. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ სწორია ისიც, რომ საწარმოს მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ახალი ტექნოლოგიების, შენადნობების დანერგვაზა და ათვისებაზე. სხვადასხვა მიზეზის გამო, ქარხნის მანგანუმის ნედლეულით მომარაგება თანდათან გართულდება. ამიტომ, შენადნობების მისაღებად უნდა გამოვიყენოთ სილიკომანგანუმის წიდა, მანგანუმის შემცველი მტვერი და თერმულად დამუშავებული ქვანახშირი. მათგან წარმოებული შენადნობები უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის ფოლადების დამზადებას.

მალე საშუალება მოგვეცემა ყოველწლიურად თერმულად დამუშავებული სოლიფური რაოდენობის ქვანახშირი გამოვუშვათ. წარმოებაში მისი გამოყენებით, ჯერ ერთი, ადარ იქნება საჭირო საქართველოს ფარგლების გარედან 5 ათასი ტონა კოქსისა და 50 ათასი ტონა კვარციტის შემოტანა. მეორეც, გაუჭარბესდება სილიკომანგანუმის ხარისხი და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ეს გულისხმობს როგორც მანგანუმისა და სილიციუმის გამოყენების ზრდას, ისე ელექტროენერგიის ხარჯების შესამჩნევ შემცირებას.

თ. აგლაძე: ბოლო წლებში მრავალი ძვირადღირებული მანგანუმის პროდუქტის მიღების ახალი ელექტროქიმიური ტექნოლოგიები შემუშავდა. მანგანუმისა და

(დასასრული მე-2 გვ.).

შესვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

10 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია შეხვდა საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მოსკოვში აკრედიტებული ჟურნალისტების ჯგუფს და უპასუხა მათ კითხვებს.

საუბარი ეხებოდა რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განხორციელების გზებს, საშუალებებსა და თავისებურებებს, პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის, აგრეთვე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის დარგში მთავრობის საქმიანობის საკითხებს. (საქინფორმი).

პატარა მდინარეების დიდი ენერგია

თბილისი მეოთხედი საუკუნის შემდეგ კვლავ ამუშავდა ჩხოროწყუში მცირე ჰიდროელექტროსადგური. სადგურის მთლიანი განახლებისა და რეკონსტრუქციის შემდეგ მისმა სიმძლავრემ ხუთი ათას კილოვატსაათს გადააჭარბა. ახლა გამომუშავებული ენერგიის მოცულობა საკმარისია იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ მთელი ჩხოროწყუს რაიონი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში ჩართვის შემდეგ სადგური ქმედუნარიანი დარჩება გაჭირვების შემთხვევაშიც კი. ასეთ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს საგანგებო მოწყობილობა.

მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება რესპუბლიკის ენერგეტიკულ კომპლექსში შექმნილი რთული სიტუაციის დაძლევის პროგრამაში. საწარმოო გაერთიანება „საქენერგოში“ შემუშავებულია და ხორციელდება მცირე ენერგეტიკის გაფართოების ფართომასშტაბიანი პროგრამა.

„კომუნისტის“ მრგვალი მაგიდა

პროგნოზი და სინამდვილე

(დასასრული)

მისი ნაერთების ელექტროქიმიის დარგში შეძენილია უნიკალური გამოცდილება. ქართულ ელექტროქიმიურ სკოლაში შესრულებული ფუნდამენტური კვლევები კონკურენტუნარიანი მანგანუმის პროდუქტების მიღების მოწინავე ტექნოლოგიებს შეიძლება დაედოს საფუძვლად, მაგრამ ამ პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება მოითხოვს მეცნიერების ახალ ორგანიზაციას, მანგანუმის ქვედარგის განვითარების ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას.

მაგრამ ეს ადვილი არ არის. მანგანუმისა და მისი ნაერთების საწარმოები სხვადასხვა უწყებებს გავლენის სფეროშია. ამ უწყებების მეთაური ინსტიტუტებს, როგორც წესი, არა ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები და ამიტომ საქართველოს მეცნიერთა ურთიერთობა მათთან რთულად მიმდინარეობს. მანგანუმის ქვედარგის განვითარებას სერიოზულად აფერხებს აგრეთვე არაწესაყარელი ფასები. საბჭოთა კავშირში ტონა ელექტროლიზური მანგანუმის ფასი, მაგალითად, 1300 მანეთია, ხოლო მსოფლიო ბაზარზე — 2200-3800 დოლარი. მიუხედავად ხელოვნურად შემცირებული ფასებისა, საქართველოში მანგანუმის და მისი ნაერთების ელექტროქიმიურ წარმოებათა განვითარება მაინც მიზანშეწონილი და აშკარად ხელსაყრელია.

კ. ლეჟავა: ყველაფერი, რაზეც ახლა პატივცემულმა თ. სიგუამ, თ. ჩუბინიძემ და თ. აგლაძემ ისაუბრეს, სწორია, მაგრამ როგორ იმოქმედებს ყველაფერი ეს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე? პროექტი ბუნების დაცვის საკითხს თითქოს დროის მოთხოვნათა დონეზე ითვალისწინებს, მაგრამ იგი 1984 წელს არის შედგენილი.

თ. ჩუბინიძე: მეც, ისე როგორც თქვენ, ბატონო კარლო, მიმაჩნია, რომ მიუხედავად შესრულების კარგი დონისა, სამრეწველო ობიექტების ამოქმედების პროექტის ეკოლოგიურ ნაწილს ხელახალი ექსპერტიზა სჭირდება.

ჯ. ცინაძე: ექსპერტიზა საჭიროა. საერთოდ, თავის დროზე ქარხანა ამ ნაყოფიერ მიწაზე კი არა, ცოტა ქვემოთ, ყვირილის ხეობაში უნდა აშენებულიყო. ამით ეკოლოგიური სიმწვავის შემსუბუქების გარდა საწარმოს პერსპექტიული განვითარების კარგი საშუალებაც მიეცემოდა. რა გამოდის, ამ სამრეწველო ობიექტს არ გააჩნია საჭირო რაოდენობის ნედლეულის სასაწყობო მეურნეობა, დაბალია მექანიკური და სარემონტო სამსახურების ბაზები, გადასასინჯია რკინიგზის ხაზების მდგომარეობა.

კიდევ კარგი, რომ ბოლო წლებში შეიცვალა დამოკიდებულება ეკოლოგიისადმი და სადღეისოდ მეორე საამქროს გარდა, ყველგან დამონტაჟდა გაზგამწმენდი ნაგებობანი, აქვე დავძენ, რომ გაზგამწმენდი საშუალებები მეორე საამქროშიც მონტაჟდება და გაისად ამქმედდება. როცა ამას მოგახსენებთ, აღტაცებას როდი გამოვხატავ, ბუნების დაცვისა და შრომის პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მსოფლიო სტანდარტებს უნდა მივაღწიოთო, მაგრამ მტვრის დაჭერა არ არის საკმარისი. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ გამონაბოლქვი გაზებიც უვნებელყოთ. მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: მსგავსი საწარმოები განვითარებული ქვეყნების არაერთ საკურორტო ზონაშია მოქცეული, მაგრამ ამას ვერავინ გრძნობს.

ნ. მაჯავიანი: ქარხანა მუშაობს შეკრული ციკლით, ე. ი. ცალკეული შენადნობებისაგან მიღებული თანმდევი პროდუქტები მეორეული მინერალური ნედლეულის სახით გამოიყენება შემდგომ მეტალურგიულ პროცესებში.

საქმის ასეთი მსვლელობა გამართლებული იყო იმიტომ, რომ ქარხნის მუშაობა ძირითადად ჭიათურის საუკეთესო ხარისხის კონცენტრატის დიდ რაოდენობაზე იყო დაფუძნებული. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი — უძვირფასესი უმაღლესი ხარისხის მადნი მკვეთრად შემცირდა, პრაქტიკულად იგი „აღარ არის, მეორეც, ეკოლოგიურ პირობებთან დაკავშირებით აღარ მოქმედებენ ღია კარიერები, რაც ქარხნისათვის 30-40 პროცენტის ნედლეულის დანაკლისს ნიშნავს. ასე რომ, დღეს საწარმო ჭიათურიდან 300 ათასი ტონის ნაცვლად 100 ათას ტონასაც ძლივს იღებს. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ პირველი ხარისხის ნედლეული ზესტაფონში ახლა ავსტრალიიდან და აფრიკიდან შემოდის. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნოლოგიებისა და შენადნობების ათვისებას, ინჟინერ-ტექნიკ უ რ.ი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა ნამდვილად უმაღლეს დონეზე გაუძღონ მსოფლიო კონკურენციას. უნდა შეგძლოთ 250-300 მილიონი დოლარის ნედლეულის ბაზა მსოფლიო ბაზარზე.

ა. ლეჟავა: თქვენი ნათქვამიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენქნება ქარხნის მუშაობას ეკონომიკურად დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველოსათვის. უთუოდ საჭიროა ჯამოინახოს საწარმოს ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საშუალებები და აიგოს მისთვის ავტონომიური თბოელექტროსადგური, ჭიათურის საბადოს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ბაზებზე შეიქმნას ეროვნული ინსტიტუტი.

ჯ. ცინაძე: ექსპერტიზა საჭიროა. საერთოდ, თავის დროზე ქარხანა ამ ნაყოფიერ მიწაზე კი არა, ცოტა ქვემოთ, ყვირილის ხეობაში უნდა აშენებულიყო. ამით ეკოლოგიური სიმწვავის შემსუბუქების გარდა საწარმოს პერსპექტიული განვითარების კარგი საშუალებაც მიეცემოდა. რა გამოდის, ამ სამრეწველო ობიექტს არ გააჩნია საჭირო რაოდენობის ნედლეულის სასაწყობო მეურნეობა, დაბალია მექანიკური და სარემონტო სამსახურების ბაზები, გადასასინჯია რკინიგზის ხაზების მდგომარეობა.

კიდევ კარგი, რომ ბოლო წლებში შეიცვალა დამოკიდებულება ეკოლოგიისადმი და სადღეისოდ მეორე საამქროს გარდა, ყველგან დამონტაჟდა გაზგამწმენდი ნაგებობანი, აქვე დავძენ, რომ გაზგამწმენდი საშუალებები მეორე საამქროშიც მონტაჟდება და გაისად ამქმედდება. როცა ამას მოგახსენებთ, აღტაცებას როდი გამოვხატავ, ბუნების დაცვისა და შრომის პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მსოფლიო სტანდარტებს უნდა მივაღწიოთ, მაგრამ მტვრის დაჭერა არ არის საკმარისი. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ გამონაბოლქვი გაზებიც უვნებელყოთ. მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: მსგავსი საწარმოები განვითარებული ქვეყნების არაერთ საკურორტო ზონაშია მოქცეული, მაგრამ ამას ვერავინ გრძნობს.

ნ. მაჯავიანი: ქარხანა მუშაობს შეკრული ციკლით, ე. ი. ცალკეული შენადნობებისაგან მიღებული თანმდევი პროდუქტები მეორეული მინერალური ნედლეულის სახით გამოიყენება შემდგომ მეტალურგიულ პროცესებში.

საქმის ასეთი მსვლელობა გამართლებული იყო იმიტომ, რომ ქარხნის მუშაობა ძირითადად ჭიათურის საუკეთესო ხარისხის კონცენტრატის დიდ რაოდენობაზე იყო დაფუძნებული. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი — უძვირფასესი, უმაღლესი ხარისხის მადნი მკვეთრად შემცირდა, პრაქტიკულად იგი „აღარ არის, მეორეც, ეკოლოგიურ პირობებთან დაკავშირებით აღარ მოქმედებენ ღია კარიერები, რაც ქარხნისათვის 30-40 პროცენტის ნედლეულის დანაკლისს ნიშნავს. ასე რომ, დღეს საწარმო ჭიათურიდან 300 ათასი ტონის ნაცვლად 100 ათას ტონასაც ძლივს იღებს. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ პირველი ხარისხის ნედლეული ზესტაფონში ახლა ავსტრალიიდან და აფრიკიდან შემოდის. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნოლოგიებისა და შენადნობების ათვისებას, ინჟინერ-ტექნიკ უ რ.ი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა ნამდვილად უმაღლეს დონეზე გაუძღონ მსოფლიო კონკურენციას. უნდა შეგძლოთ 250-300 მილიონი დოლარის ნედლეულის ბაზა მსოფლიო ბაზარზე.

ა. ლეჟავა: თქვენი ნათქვამიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენქნება ქარხნის მუშაობას ეკონომიკურად დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველოსათვის. უთუოდ საჭიროა ჯამოინახოს საწარმოს ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საშუალებები და აიგოს მისთვის ავტონომიური თბოელექტროსადგური, ჭიათურის საბადოს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ბაზებზე შეიქმნას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე პროგრამა, რომელიც მოიცავს მანგანუმის ქვედარგის საწარმოთა შექმნის, განლაგების, ინვესტიციური პოლიტიკის, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავების საკითხებს. სხვათა შორის, სპეციალიზებული ფირმის ჩამოყალიბების საკითხი დიდი ხნის წინათ იყო შემუშავებული და წარდგენილი სათანადო ორგანოებში, მაგრამ მაშინ იგი უგულვებელყვეს.

ლ. ჯაფარიძე: მანგანუმის მადნის რაციონალური გამოყენების საერთო პრობლემა მარტო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობით არ განისაზღვრება. საჭიროა განვიხილოთ მანგანუმის მადნების ქიმიური და ელექტროქიმიური გადამუშავების სხვა საკითხებიც, კერძოდ მანგანუმის ელექტროლიზური დიოქსიდის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემა. ეს ნაერთი მანგანუმმემცველი უმნიშვნელოვანესი პროდუქციაა და დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო და ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად. ამ მხრივ პირველ ადგილზეა იაპონია, რომელიც მსოფლიოში წარმოებული ელექტროლიზური დიოქსიდის 70 პროცენტს უშვებს და მრავალ ქვეყანაში ყიდის მას, მაგ შორის — საბჭოთა კავშირიც. საერთაშორისო ბაზარზე ტონა დიოქსიდი ღირს 1200 დოლარი, მაგრამ ყველა საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ მისი ფასი სულ მალე 1700 დოლარს მიაღწევს.

ჯერჯერობით, საბჭოთა კავშირში, ერთადერთი უცხოური მოწყობილობით აღჭურვილი მანგანუმის დიოქსიდის სიმძლავრეს რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებაში აქვს ბინა დადებული. იგი 12-14 ათას ტონა პროდუქციას იძლევა და საკავშირო მოთხოვნას მხოლოდ 35 პროცენტით აკმაყოფილებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის დადგენილებით მანგანუმის დიოქსიდის ახალი სიმძლავრე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო, მაგრამ გადაიფიქრეს. სამწუხაროდ, მეტალურგიის სამინისტროს თავისი უწყებრივი პოზიციებიდან გამომდინარე, თავდაზვე უარყოფითი პოზიცია ეჭირა ზესტაფონის საწარმოსადმი და მოხდა ის, რომ ახალი სიმძლავრის შექმნა ტაჯიკეთის სამთო ქიმიურ კომბინატს მიანდვეს.

არადა, მისი მშენებლობის პროექტი ჩვენი ინსტიტუტის მონაწილეობით სრულდება. საწყის ნედლეულად ტაჯიკეთის საწარმო ნიკოპოლის კარბონატულ მადნს გამოიყენებს, მაგრამ ამ პროდუქციაზე მოთხოვნებს ვერა და ვერ დაკმაყოფილებს. ამიტომ, საჭიროა ასეთი მეორე საწარმო საქარხველოშიც აშენდეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში მოპოვებული მადნის ყოველი ტონა ჩვენვე უნდა გადავამუშაოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ იგი. ფეროშენადნობთა გარდა მისგან უნდა ვაწარმოოთ ისეთი დეფიციტური და ძვირადღირებული პროდუქცია, როგორიც არის ელექტროლიზური ლითონური მანგანუმი, ელექტროლიზური დიოქსიდი, კალიუმის პერმანგანატი და მანგანუმის რეაქტიული ნაერთები. ზემოხსენებულ ნაერთების ოპტიმალური სიმძლავრით წარმოების შემთხვევაში, რასაც წელიწადში 100 ათასი ტონა არადეფიციტური კარბონატული მადნი დაჭირდება, დამატებით მივიღებთ 60 მილიონი მანეთის პროდუქციას, რომელზეც დიდი მოთხოვნაა აღმოსავლეთ ევროპის, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

ჯ. ზენგელია: ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი უშუალოდ უკავშირდება ეკოლოგიურ პრობლემებს, რაც საქართველოსათვის განსაკუთრ ე ბ ი თ მნიშვნელოვანია (ზეიცრო დასახლება, საკურორტო ზონების სიმრავლე). საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მანგანუმისა და მისი ნაერთების ელექტროქიმიური მრეწველობის ქვედარგი ქიმიური მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით ეკოლოგიურად ბევრად უვნებელია. მიუხედავად ამისა, ქვედარგის განვითარება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შემუშავდება უნარჩენო ან მცირე ნარჩენიანი ტექნოლოგიური პროცესები.

ლ. ჯაფარიძე: თქვენს ნათქვამს მინდა დაეთმატო, რომ ლითონური მანგანუმის, მანგანუმის დიოქსიდის და ქიმიური ნაერთების მიღების თანამდროვე ტექნოლოგიური პროცესები უნარჩენოა და ეკოლოგიურად საფუძვლიანი მისაღები.

ჯ. ზენგელია: საყურადღებოა მანგანუმის მადნების ელექტროქიმიური გადამუშავების მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროლიზური მანგანუმისა და დიოქსიდის წარმოებაში მადნის მაღალტემპერატურული აღდგენის ეკოლოგიურად მაუნე სტადიის გაუქმებას. მადნის ელექტროქიმიური გადამუშავების მეთოდი მანგანუმის მეორეული ნედლეულის გადამუშავებისათვისაც შეიძლება ასევე ეფექტიანად გამოვიყენოთ. ფეროშენადნობთა ქარხანაში, როგორც ცნობილია, გროვდება დიდი რაოდენობის ნარჩენები — მანგანუმის შემცველი შლამები და მტვერი. ამ ნარჩენების გამოყენება მოგვცემს სოლიდურ ეკონომიკურ ეფექტს და საგრძნობლად გააუმჯობესებს ეკოლოგიურ ვითარებას.

მხარს ვუჭერ იმ აზრს, რომ შეიქმნას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფს ქვედარგის ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას. ასეთი გაერთიანების უქონლობის მიზეზია პარალელიზმი სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციებს მუშაობაში, სუბიექტივიზმი სამეცნიერო კვლევების შეფასებასა და დაფინანსებაში, ბუნებრივი სიმდიდრის არარაციონალური გამოყენება, მატერიალური და საინეცნიერო ძალების დაქსაქსვა და სხვა.

კ. ორეხელაშვილი: **ქარხნის განვითარებასთან, ახალი შენადნობებისა და ტექნოლოგიების ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე ეკოლოგიას უკავშირდება. ამიტომ ამ საკითხზე უფრო მეტად და დამაჯერებლად უნდა ვისაუბროთ. ამჟამად კაცობრიობას ყველაზე მეტად სწორედ ეს აღელვებს.**

ჯ. ცინაძე: სრული ჭეშმარიტებაა. მიაქციეთ ყურადღება: ოთხმოცაან წლებამდე ჩვენი ქარხანა დასავლეთ საქართველოს ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მთავარი ობიექტი იყო. თვით ზესტაფონში ჟანგეულების მაქსიმალური კონცენტრაცია 95-ჯერ აღემატებოდა დასაშვებს. ახლა ეს მაჩვენებელი ქალაქში 2-2,5-მდე შეტანილია. ზემოხსენებულ პერიოდში ჩვენს ბაგო შავი ზღვის სანაპიროც საგრძნობლად ჭუჭყიანდებოდა, მაგრამ დღეს ეს მაჩვენებელი სანიტარიულად დასაშვებ ფარგლებშია. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქარხანაში ბუნების დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა და საამქროებიდან 25 მილიონი მანეთი დაიხარჯა. კარგად ვიცით, რომ ეს საკმარისი არ არის და ყველაფერს ვიღონებთ ეკოლოგიურად ამოლუტურად სუფთა საწარმოს შექმნისათვის.

თ. ჩუბინიძე: ახლა ზესტაფონის ქარხანაში ყოველწლიურად იტერენ 45 ათას ტონაზე მეტ მტვერს, რომელიც ადრე ატმოსფეროში იფრქვეოდა. მართალია, იგი ახლა საავტომობილო ბაზაზე ბესლოდ ბრიკეტებად რჩება ამ ნარჩენებიდან ბრიკეტების დამზადება ეკონომიკურად ეფექტიანია, ამავე დროს შეჩერებულია ფეროშენადნობებზე გაზრდილი ფასების მოქმედება. ურთიერთთანგარიშგები რომ საერთაშორისო ფასებით ხორციელდებოდეს, საწარმოს განკარგულებაში ასობით მილიონი მანეთის, ან დოლარის მოგება დარჩებოდა.

აუცილებელია შეწყდეს ჭიათურის მანგანუმის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა. იგი აქვე უნდა გადამუშავდეს და საზღვარგარეთ ფეროშენადნობთა სახით გავიდეს. ვეთანხმები კ. ლეჟავას იმ აზრსაც, რომ ჭიათურა-ზესტაფონის კომპლექსს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს. ეს ხელს შეუწყობს მის შემდგომ რაციონალურ განვითარებას.

ჯ. ცინაძე: დარწმუნებული ბრძანდეთ ბატონო, რომ ქართული მანგანუმი კიდევ დიდხანს ემსახურება ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. ფეროშენადნობთა წარმოების განვითარებაში ქარხნის კონკრეტულ წვლილზე მეტყველებს თურმე ნუ იტყვით, და მათ ჩვენზე უფრო მეტად შესტკივათ გული ჭიათურის ზონის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე! ამ ხერხმა გაკრა და საზღვარგარეთის მოწინავე, ფირმებთან პარტნიორობით ნარჩენი წიდებიდან ლითონსაცენტრატის ამოღება უზრუნველყოთ და მისგან მოსაბარკეთებელი პროდუქციის გამომშვები ერთიანი დიდი საწარმო ჩამოვაყალიბოთ. ერთობლივი საწარმო ჩვენთვის პირდაპირ ხსნა იქნებოდა, საზღვარგარეთის ფირმები ხელს გვიწყვდიან სათანამშრომლოდ, მაგრამ საკავშირო მთავრობის ჩაურევლად ვერაფერს ვხდებით.

ვდგრე დამოუკიდებელი გავხდებით და აღვისრულებთ ჩანაფიქრს, მოსაგვარებელია სადღისო, შედარებით მოკრძალებული საკითხები. ჩვენი ვარაუდით, წლეულს, პირველ და მეოთხე კვარტალში ნახევარი სიმძლავრით მაინც უნდა გვემუშავა და გაანგარიშებით თავისუფალი გაყოდვა-სათვის, სულ ცოტა, 16 ათასი ტონა ლითონი მაინც უნდა დავგრჩენოდა. რას იზამ, ვვარაუდობდით, მაგრამ, არ გაგვიმართლა. სხვათა შორის, 4500 ტონა შენადნობის გაყიდვის უფლება შესაბამისმა სამინისტრომ შარშანაც მოგვცა. ამ უფლებით რომ გვესარგებლა, 2000 ათასი თავისუფლად კონვერტირებული ვალუტა დაგვრჩებოდა. ძნელი საკითხია, მაგრამ წლეულს, როცა ენერგიას მოგვცემენ, შეიძლება 1800 ტონა პროდუქციის ნახევარგარეთ გატანის ნებართვა მივიღოთ და მაინც ნაწილობრივ მაინც შევიმსუბუქებდით მდგომარეობას. ამ გზით მილიონნახევრ შემოტანილი ვალუტით ჩვენი მშრომელებისათვის ფართო მოხმარების საქონელს შევიძენდით, ამავე სახლობო მოხმარების საგნების დასამზადებელ იმპორტულ ხაზებს შევისყიდდით. გვინდა აგრეთვე საშენი მასალების დამამზადებელი ტექნოლოგიური ხაზები შევიძინოთ და სოფლის მცხოვრებლებს დავეხმაროთ.

რახან სოციალურ საკითხს დავუბრუნდი, იმასაც დავძენ, რომ ვანვითარებთ საწარმოს დამხმარე მეურნეობას. მეღორეობისა და მესაქონლეობის ნამდვილი განვითარებისათვის ფერმებსა და სამბურებს ვაშენებთ. უნდა შეგძლოთ ჩვენი მუშაკების ხორცითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სრული დაკმაყოფილება. საინტერესო ჩანაფიქრი გვაქვს მეფრინველეობის განვითარებისათვის და საამისოდ ბულგარეთთან დავამყარებთ ურთიერთობას.

გრძელდება ბინათმშენებლობა, ვამთავრებთ ბაკურიანის სანატორიუმ ბანაკის, კვალითმს დასახლების სპორტული კომპლექსისა და კლუბის მშენებლობების დაპროექტებას.

ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი და ეს, ალბათ, არც არის საჭირო. ლაპარაკიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ, მხოლოდ ეს გადაგვარჩენს და, თუ გნებავთ, გამოგვაჩენს კიდეც. მხარს ვუჭერ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეას, რომლის ხორციშესხმაშიც თავის სოლიდურ წვლილს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივიც შეიტანს.

ზოთა ამაშუკელი,
ჰენრი შარიძაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ვეხმაურებით წერილს „ზღვარი ცდომილებისა“

ბაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი „ზღვარი ცდომილებისა“ ეხება მეტად მტკივნეულ პრობლემას. წერილის ავტორები მოუთითებენ ჩვენს საზოგადოებაში არსებული მდგომარეობის ორგანულ კავშირზე საზოგადოებრივ მეცნიერებასთან და აღნიშნავენ, რომ ჩვენში საზოგადოებრივმა მეცნიერებამ დაკარგა თავისი წარმმართველობა, გახდა ბიუროკრატიული, ნებას დაქვემდებარებული, რის გამოც ვერ ამართლებს თავის მაღალ დანიშნულებას ქვეყნის წინსვლის საქმეში. წერილის ავტორები ეძებენ ამ არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს. ჩვენ ვეთანხმებით მათ და გვინდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ფართო დიალოგი, მეცნიერთა რეკომენდაციები ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის დროულად გადაწყვეტისათვის.

ჩვენს ეპოქაში უბუალო მწარმოებელი. ძალაა მეცნიერება. არა ნედლეულის სიუხვე, არამედ გონიერული მუშაობა, ადამიანის ფაქტორის გაქტიურება ძირითადია წინსვლისათვის. დღეს ყველახათვის ნათელია, რომ ნედლეულის თითქმის არმქონე ერები სასწაულს ახდენენ, თითქოსდა არაფრისაგან მილიონებს ღებულობენ, და ეს — მეცნიერული მუშაობით, შრომის ორგანიზაციის მაღალი დონით! მაგრამ ჩამორჩენილი აზროვნების გამო ნედლეულის მქონე ერებიც კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებიან. სამწუხაროდ, ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა ჩვენშიც, რადგან მეცნიერული აზროვნება შესცვალა ჩაძახებამ და ამოძახებამ, ჩვეულებად იქცა მოაზროვნეთა დევნა. საზოგადოებრივ მეცნიერებას დავალებული ჰქონდა გაეშართულებინა ყოველგვარი არასწორი ბრძანება და განკარგულებანი. „საზოგადოებრივი მეცნიერება, — როგორც ამას წერილის ავტორები წერენ, — მსახურის როლში აღმოჩნდა“. ცხოვრების მიერ დაყენებულ პრობლემაზე მუშაობა აიკრძალა. საზოგადოებრივი მეცნიერება დაექვემდებარა დოგმებს, ეს ყველაფერი საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ რა ვაკეთოთ?

ცდომილებამ ყოვ ე ლ გვ ა რ ზღვარს გადააჭარა. გარდაქმნის წლები გადის, მაგრამ არსებითი ცვლილებები არ ჩანს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გარდაქმნის საფუძველია ადამიანის ფაქტორის გაქტიურება. მაშასადამე, გარდაქმნა საფუძვლიდან უნდა დავიწყოთ. მაგრამ, ადამიანის ფაქტორს სათანადო ყურადღება არ ეთმობა. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით მომუშავეებს ზოგჯერ ხელსაც უშლიან, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში ისე წავიდა საქმე, რომ ადამიანის ფაქტორის გააქტიურების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერებანი თითქმის კანონგარეშეა გამოცხადებული, მოითხოვენ მათი სწავლების გაუქმებას. მდგომარეობა საგანგაშოა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არ იმართება სათანადო დიალოგი, ნაკლები ყურადღება ეთმობა ადამიანის ფაქტორის გააქტიურების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერებისადმი. ადამიანი კარგი სპეციალისტი და მორალურად სრულყოფილი რომ აღვზარდოთ, უნდა ვიცოდეთ ცოდნისა და მორალის ღირებულება საზოგადოებაში. ეს თუ არ არის მიღწეული, თუ უცოდინარობა და ორპირობა პრესტიჟულია და აღწევს წარმატებებს, იქ მცოდნისა და პატიმაღალი დონეზე. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქარხანაში ბუნების დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა და საამქროებიდან 25 მილიონი მანეთი დაიხარჯა. კარგად ვიცით, რომ ეს საკმარისი არ არის და ყველაფერს ვიღონებთ ეკოლოგიურად ამოლუტურად სუფთა საწარმოს შექმნისათვის.

თ. ჩუბინიძე: ახლა ზესტაფონის ქარხანაში ყოველწლიურად იტერენ 45 ათას ტონაზე მეტ მტვერს, რომელიც ადრე ატმოსფეროში იფრქვეოდა. მართალია, იგი ახლა საავტომობილო ბაზაზე ბესლოდ ბრიკეტებად რჩება ამ ნარჩენებიდან ბრიკეტების დამზადება ეკონომიკურად ეფექტიანია, ამავე დროს შეჩერებულია ფეროშენადნობებზე გაზრდილი ფასების მოქმედება. ურთიერთთანგარიშგები რომ საერთაშორისო ფასებით ხორციელდებოდეს, საწარმოს განკარგულებაში ასობით მილიონი მანეთის, ან დოლარის მოგება დარჩებოდა.

აუცილებელია შეწყდეს ჭიათურის მანგანუმის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა. იგი აქვე უნდა გადამუშავდეს და საზღვარგარეთ ფეროშენადნობთა სახით გავიდეს. ვეთანხმები კ. ლეჟავას იმ აზრსაც, რომ ჭიათურა-ზესტაფონის კომპლექსს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს. ეს ხელს შეუწყობს მის შემდგომ რაციონალურ განვითარებას.

ჯ. ცინაძე: დარწმუნებული ბრძანდეთ ბატონო, რომ ქართული მანგანუმი კიდევ დიდხანს ემსახურება ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. ფეროშენადნობთა წარმოების განვითარებაში ქარხნის კონკრეტულ წვლილზე მეტყველებს

ტექნიკა საკმარისია, საქმე კი...

ანუ რამდენად ეფექტიანად ვიყენებთ

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს?

ვერავინ იტყვის, ახმეტის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს ტექნიკა აკლიათ, პირიქით, მათ აქვთ 529 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, მათ შორის 38 მძლავრი აგრეგატი, 314 სატვირთო ავტომანქანა, 38 მარცვლეულის ამღები კომბაინი, 124 სანნაგი გუთანი, 112 სათესი, 516 კულტივატორი...

ვატყობთ, ამგვარმა ჩამოთვლამ შორს წაგვიყვანა. ჩვენი საუბარი ეს არის, რომ თუ პატრონი გონივრულად და ყაირათიანად მოიხმარს, ამდენი ტექნიკით, თამამად შეიძლება ყველა დასახული ამოცანის შესრულება. მთავარი ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ აგროოდებში განხორციელებულიყო სასოფლო-სამეურნეო საშუშაოები. უხვ მოსავალს თავიდანვე უნდა ჩაყოროდა საფუძველი. თუ აზმეტელთა მაგალითით ვიმსჯელებთ, პირიქით ხდება — წლევანდელი მოსავლის გარკვეული ნაწილი უკვე დაკარგულია.

აი ამის დამადასტურებელი თუნდაც ერთი მაგალითი. ახმეტის რაიონის 4700 ჰექტარ ვენახში საშემოდგომოდ მხოლოდ ნახევარი ფართობი მოხნეს. მიზეზი? — ტრაქტორისთვის საწვავი არ ჰქონდათ. დასახანია, რა თქმა უნდა. აგროტექნიკით დამუშავებას ვადები იმიტომ აქვს განსაზღვრული, რომ ამა თუ იმ საქმის ნებისმიერ პერიოდში გაკეთება არ შეიძლება. როცა ვენახი ნოემბერ-დეკემბერში იხვნება, ხნული თოვლის საფარის, ანუ ნალექის ქვეშ ხვდება. ამით ნიადაგი და მცენარე საკმაო ოდენობის ტენს იღებს, ამასთანავე ხნულიც ფხვიერდება და მცენარის განვითარებას ხელს უწყობს.

საწვავის უქონლობამ ახმეტელები მზრალად ხვნის საქმეშიც დაიზარალა. სკოროდა კი მზრალად ხვნის დროზე მოთავება, რათა მერე საგაზაფხულო კულტურების თესვა არ შეფერხებულიყო.

თუ შესასრულებელ სამუშაოთა შეფერხებებზე ვლაპარაკობთ, ისიც ვთქვათ, რომ რაიონში ვერ შესრულდა ვენახების გაშენების გეგმაც. ნავარაუდევი 100 ჰექტარიდან მხოლოდ 30 პროცენტი გაშენეს. ახმეტის აგროსამრეწველო გაერთიანებაში ამ ჩამორჩენის მიზეზად ვაზის ნერგის უკმარისობას ასახელებენ. ასეთი თავის მართლება ცოტა არ იყოს უხერხულად გვეჩვენება. განა თავად ახმეტაში არ არის ვაზის სანერგე საბჭოთა მეურნეობა? ამ დაწესებულებამ გამართულად, სრული დატვირთვით რომ იმუშაოს, ახმეტელებს ვაზის ნერგი რატომ უნდა გაუჭირდეთ? ისე ამ საქმის დაგვიანებამ დიდი ხარვეზები შეიმჩნევა. ახმეტის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა სხვა რაიონებს აძლევს ნერგს. აქ ერთი ქართული ხალხური ანდაზა გვახსენებდა: „შინ რომ ბალღსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო?“ ვინმემ ხომ უნდა იფიქროს ამაზე? ახმეტელებმა ნერგი სხვაგან აგზავნონ, თვითონ კი ნერგის უკმარისობის გამო ზვრები ვერ გააშენეს? ეს სადაური გონივრული გარჯაა?

ისე, ჩვენი საუბრიდან გამოდის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ დიდძალ ტექნიკას ახმეტელები ჯეროვნად ვერ იყენებენ. ჩამორჩენენ ვენახების ხვნაში, მზრალად ხვნაში, ზვრების გაშენებაში, საგაზაფხულო სამუშაოებში.

ზამთარში დღის წესრიგში იდგა ტექნიკის რემონტისა და საგაზაფხულოდ მომზადების საკითხი. როგორ გაისარჯნენ მაშინ ახმეტელები?

რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს დირექტორმა ახმედ მარგოშვილმა გვითხრა, რომ მათმა საწარმომ უნდა იზრუნოს ტექნიკის რემონტზე, სათადარიგო ნაწილების მომარაგებაზე. განსაზღვრული დროისთვის კი მთა საქმე სანახევროდაც არ ჰქონდათ გაკეთებული. როცა მიზეზებს ჩავუღრმავდით, აღმოჩნდა, რომ მოჯარეებს თურმე მანქანა ან ჭკუაში არ უჯდებათ ტექნიკის რემონტი. უმთავრესად იმიტომ, რომ ხარჯს ერიდებიან (რასაც დაზოგავენ, ხომ მათი საკუთრებაა). აქ კვლავ გვახსენდება ბრძენი წინაპრის ნათქვამი: „იარაღის გალესვა, რეგვენს დროის დაკარგვა ეგონაო“. თუ ხარჯებს ისე „გავუფრთხილდებით“, რომ ტექნიკას საერთოდ აღარ მოვუვლით, ამგვარი წინდაუხედაობა ვერაფერ სიკეთეს მოგვიტანს. ტექნიკა ისე გამოვა მწყობრიდან, რომ მერე შეიძლება საერთ

უახლესი ისტორიის ფურცლები

დაიცვა და მხრებით აზიდა

პავლე ინგოროყვა ჟურნალები: „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ ილიას ერთიანი საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის და ქედმოუხრელობის სიმბოლო, ამავე დროს გამორჩეული და მთლიანი იყო ვით კავკასიონი, ოცის წლების ქაოტურ სამყაროში. პავლე ინგოროყვამ მის მებრძოლ სულიერ მეგობრებთან ერთად დაიცვა და მხრებით აზიდა ილიასა და აკაკის დამოუკიდებელი, ერთიანი და მთლიანი საქართველოს ეროვნული დროშა. ოციანი წლების ქართული მწერლობა, საქართველოში შექმნილი ერთული ვითარების მიუხედავად, მტკიცედ იცავდა იმ ეროვნულ პოზიციას, რომელიც ილიამ გვიანდერძა: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს. ვინც გონების თვალით დაკვირდება ქართული მწერლობის ტრაგიკულ, მაგრამ ძალე დროს მგზირულ გზას, ის ადვილად დაინახავს იმ უწყვეტ ჯაჭვს, რომელსაც ილიასა და აკაკის ტრადიციების გაგრძელება ქვია; როცა კოსმოპოლიტები ილიასთან დავაში დამარცხდნენ, 1907 წლის აგვისტოში ვერაგულად მოჰკლეს იგი, მაგრამ ვერ მოჰკლეს ის ეროვნული სული; რომელიც ილიამ და მისმა თაობამ აღანთო ქართველობაში. დიდი ილიას დაკრძალვა გადაიქცა ეროვნულ დემონსტრაციად. საქართველო ერთიანად ფეხზე დადგა და მთელს ქვეყანას დაანახვა, რომ „არ მოჰკვდარა მხოლოდ სძინავს, გაიღვიძებს ისევ ერი“. გამოღვიძებულმა ქართველმა ერმა ილია დროშად აღმართა. მაგრამ მაინც აუნაზღაურებელი იყო დანაკლისი. აკი მისმა თანამებრძოლმა აკაკიმ, რომელიც იმ დღეებში სასტუმრო „კავკაზში“ მძიმედ ავადმყოფი იწვა, სასტუმროს აივნიდან ასე დაიტირა ილია: „ძმაო ილია! ახალი მოძრაობის წინამორბედო, გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე, ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით, ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა და დაობლება საძნელოა“...

მაგრამ არა! არ დარჩენილა აკაკი მარტოდ. ილიას სახელოვან თანამებრძოლებს აკაკისა და ვეჟას გვერდში ამოუდგა ახალგაზრდობა, მთლად საქართველო.

1908 წელს ილიას ვერაგული მკვლელობის წლის თავზე შეიქმნა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“, რომლის საპატო თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი წერეთელი. 1913 წელს კი შეიქმნა „რუსთაველის საზოგადოება“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სანდრო ყანჩელი. რუსთაველის საზოგადოებამ „ვეფხისტყაოსანს“ მთარგმნელად მოიწვია რუსი პოეტი ბალმონტი...

1915 წელს აკაკი და ვეჟა გამოეცალა ქართულ ეროვნულ მოძრაობას... და აი 1916 წელს ჯერ ცისფერყანწელთა კორპორაცია შეიქმნა, ხოლო 1917 წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დასაარსებლად საორგანიზაციო ბიურო: კოტე მაყაშვილის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილის, ლეო ქიაჩელის, ვარლამ რუხაძის შემადგენლობით, 1917 წლის 5 ოქტომბერს გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი დამფუძნებელი კრება. საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს: ნიკო ნიკოლაძე, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, დუტუ მეგრელი, სოფრომ მგალობლიშვილი, მელანია (ნიკოლოზ ნათაძე).

კონფერენცია გახსნა კოტე მაყაშვილმა. მოხსენებით გამოვიდა შალვა დადიანი. კონფერენციას მიესალმა ილიას თანამებრძოლი ნიკო ნიკოლაძე და ახლად შექმნილ კავშირს გზა დაულოცა, როგორც ეროვნულ საგანმანთავისუფლებო მოძრაობის მემკვიდრეს.

კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კოტე მაყაშვილი. სწორედ ეს კავშირი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) ეროვნული ფრთა. ამ კავშირის დადგენილებით გოლოვინის პროსპექტს რუსთაველის პროსპექტი ეწოდა, საკითხი დაისვა რუნინეთიდან თბილისში ბესიკის გადმოსვენების თაობაზე, საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა რუსთაველის ძეგლს. ფრთები გაშალა ილიას. ეროვნულმა პოლიტიკამ. 1920 წელს 7 მაისი დაინიშნა პოეზიის ტრადიციულ დღედ და დაარსდა გაზეთი „პოეზიის დღე“. იგი ყოველწლიურად გამოდიოდა სანამ არ გაუქმეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი (1926 წ.)... საქართველოს ანექსიამ შეაფერხა ეს აზვირთებული ეროვნული სული. სტალინად საქართველოს მწერალთა კავშირი ხიბლით და კალმით შეებრძოლა ეროვნულ ნიჰილიზმს, რომელიც 1921 წლის თებერვალს მოჰყვა. პირველად აღ. აბაშელმა დაიკვნესა: „ერის ნაღველს ორი სახელი, კრწანისის ველი და თებერვალი“ ასე უწოდა მან საქართველოს დამოუკიდებლობის ანექსიას. ხოლო თვით კავშირის თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა, რომლის ქალიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი მარო, კოჯრის მისადგომთან საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას შეეწირა გმირულად, ასე გამოიტირა ლექსში — „ჩემს მაროს“: — „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა სამუდამოდ დამიზამთრა მთისი“.

1922 წელს ამავე კავშირის თაოსნობით მთაწმინდაზე მოიწყო ილიას ვერაგული მკვლელობისადმი მიძღვნილი 15 წლისთავის აღსანიშნავი პანაშვიდი.

აქ კ. გამსახურდიამ განაცხადა: „15 წელიწადი სრულდება, რაც ავაზაკებმა ილია მოკლეს. მიცვალებულნი გაბაგებენ აწმყოს ვიდრე ცოცხალნი — ამბობს დებონი და ილია სწორედ ისეთი მიცვალებულია, რომელიც დღეთა კავშირი (1926 წ.)... საქართველოს ანექსიამ შეაფერხა ეს აზვირთებული ეროვნული სული. სტალინად საქართველოს მწერალთა კავშირი ხიბლით და კალმით შეებრძოლა ეროვნულ ნიჰილიზმს, რომელიც 1921 წლის თებერვალს მოჰყვა. პირველად აღ. აბაშელმა დაიკვნესა: „ერის ნაღველს ორი სახელი, კრწანისის ველი და თებერვალი“ ასე უწოდა მან საქართველოს დამოუკიდებლობის ანექსიას. ხოლო თვით კავშირის თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა, რომლის ქალიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი მარო, კოჯრის მისადგომთან საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას შეეწირა გმირულად, ასე გამოიტირა ლექსში — „ჩემს მაროს“: — „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა სამუდამოდ დამიზამთრა მთისი“.

1922 წელს ამავე კავშირის თაოსნობით მთაწმინდაზე მოიწყო ილიას ვერაგული მკვლელობისადმი მიძღვნილი 15 წლისთავის აღსანიშნავი პანაშვიდი.

აქ კ. გამსახურდიამ განაცხადა: „15 წელიწადი სრულდება, რაც ავაზაკებმა ილია მოკლეს. მიცვალებულნი გაბაგებენ აწმყოს ვიდრე ცოცხალნი — ამბობს დებონი და ილია სწორედ ისეთი მიცვალებულია, რომელიც დღეს

„კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ — საქართველოს ეროვნული იდეალების სიმბოლო

ყველა ანათებს ყოველი ქართველის სულს. ნახევარი საუკუნე ედგა ეს დევი ჩვენი საუკუნის საქართველოს. დღესაც ის მიგვიძღვის და გვთხოვს ანგარიშს: რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით. ვიყოთ ისე მაგარი, როგორც ილია, ვიყოთ ისეთი საატიკი, ჩვენი კულტურის დაცვაში როგორც ილია... ვინც დღეს ილიასა და აკაკის ებრძვის, ის საქართველოს მტერია...“.

1921 წლის ოქტომბერში მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მესამე კონფერენცია. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს კოტე მაყაშვილი. დიდი ილიას ეროვნულ პოზიციას მტკიცედ იცავდა სწორედ ეს კავშირი და მათი ეურნალ-გაზეთები: „ხომალდი“ (1921-1922 წელი, რედაქტორი აღ. აბაშელი), „ლომისი“ (1922 წ. სარედაქციო კოლეგია: ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი) გაზ. „ივერია“ (1922 წ. რედაქტორი ლ. ქიაჩელი), გაზ. „ქართული სიტყვა“ (1923 წ. რედაქტორი ვახ. კოტეტიშვილი), ჟურნალი „ილიონი“ (1922-1923 წ. რედაქტორი კ. გამსახურდია).

ამ ჟურნალ-გაზეთებში მეტწილად ნეგატიური დამოკიდებულება იყო გამოხატული „1921 წლის თებერვლისადმი“. ქართული კრიტიკა და მათ შორის ამ სტრიქონების ავტორი ანტისაბჭოურს ვუწოდებდით მათში დაბეჭდილ ლექსებსა და წერილებს. მართლაც ანტისაბჭოური იყო მათი პათოსი, მაგრამ უაღრესად ეროვნული და პროგრესული.

მწერალთა კავშირი და თბილისის უნივერსიტეტი ეს ის ორი ეროვნული კერა იყო, რომელთაც იკისრეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის ილიასეული ეროვნული პოზიციის დაცვა კოსმოპოლიტების შემოტევისგან. ეს ორი ფრონტი გაერთიანა პ. ინგოროყვამ „კავკასიონის“ და „ახალი კავკასიონის“ გარშემო და ერთ ძალად შეაკავშირა, ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების ფრონტი. ეროვნული ნიჰილიზმის იმ საშინელ წლებში ილიას გრიშაშვილი ასე მიმართავდა ივანე ჯავახიშვილსა და პავლე ინგოროყვას: „აი ქართლის ხმა სად იყიდება — ჯავახიშვილო და ინგოროყვა!“.

პავლე ინგოროყვას რედაქტორობით 1924 წელს გამოდის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო — ჟურნალი „კავკასიონი“. ჟურნალმა სცადა თავის გარშემო გაეერთიანებინა სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებები, შეიქმნა მთლიანი ფრონტი ქართული მწერლობისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა. ეს პირველი დიდი სქელტანიანი ჟურნალი იყო.

ჟურნალმა თავის გარშემო თავი მოიყარა ოციანი წლების ყველა ლიტერატურული დაჯგუფების და შეეცადა წარმოეგინა „მთლიანი სახე ქართული მწერლობისა. ყველა თანამედროვე ლიტერატურულ ჯგუფს და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოგლენას, დეეთმობა ადგილი ჟურნალში“ — აცხადებდა რედაქტორი. კ. ინგოროყვამ მოახერხა კიდეც ამ ჟურნალების ფურცლებზე წარმოედგინა ყველა ლიტერატურული სკოლა და თაობა, „ყოველგვარი ვიწრო ლიტერატურულ-ჯგუფური ინტერესების გარეშე!“ პ. ინგოროყვას დამსახურებას უნდა მიეწეროს, რომ აქ, ამ ჟურნალებში, პირველად დაიბეჭდა ბევრი ცნობილი მწერლის და მეცნიერის ნაწარმოები.

ცნობილია, რომ დ. კლდიაშვილმა 1914 წელს შეწყვიტა ლიტერატურული მუშაობა. და აი, პირველად პ. ინგოროყვას დაჟინებული მოთხოვნით დაბეჭდა „ბეჭედს“ „კავკასიონში“ ესკიზს — „ქიმოთე მეშველიძე“ და „ახალ კავკასიონში“ — „შუა ცეცხლის პირას“; ასევე შ. დადიანმა 1916 წელს დაწყებული ისტორიული რომანი — „უბედური რუსი“ განაახლა სწორედ ჟურნალ „კავკასიონში“. ამ ჟურნალში დაუბეჭდნდა 1908 წლის შემდეგ მიხ. ჯავახიშვილი მწერლობას

„ახალი კავკასიონი“ — ეროვნული ინტელექტუალური ელიტა

მოთხრობით „ტყის კაცი“. აქ დაიბეჭდა სრულიად ახალი ტიპის მოდერნისტული რომანი — კ. გამსახურდიას — „დიონისეს ღიმილი“ და ასევე მოდერნისტული პიესა გრიგოლ რობაქიძისა — „ლონდა“. ჟურნალებში დაიბეჭდა პროზის, პოეზიის, მეცნიერული, ფილოსოფიური და პუბლიცისტიკური წერილების ბევრი თვალმარგალიტი. მათ შორის: ნიკო ნიკოლაძის, ნიკო მარის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, პაოლო იაშვილის, პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიქოძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოტე მაყაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, სანდრო შანშიაშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ივანე გომართელის, გიორგი ჩუბინაშვილის, შალვა ამირანაშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, კოტე მარჯანიშვილის, დმიტრი არაყიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, იაკობ ნიკოლაძის და სხვათა ნაწარმოებები.

ჟურნალი რედაქტორის — პავლე ინგოროყვას სარედაქციო წერილით იხსნება:

„ქართველი საზოგადოება და პირველ რიგში თვით მწერლები კარგა ხანია გრძნობენ იმ შეუსაბამო ნაკლს, რომ ქართულს ეხაზე არ არსებობს ისეთი პერიოდული ორგანო, რომელიც იყვეს მთლიანი გამომსახველი ქართული შემოქმედების და აზროვნების.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა განიხრახა შეეტანა ეს ნაკლი ყოველთვიურ ჟურნალ „კავკასიონის“ გამოცემით. — პირველი წიგნი ამ ჟურნალისა ამით წარედგინება მკითხველ საზოგადოებას.

საერთო სახე ჩვენი გამოცემისა — ვფიქრობთ — საკმაოდ ცხადია ამ პირველი წიგნიდანვე და ამიტომ ჩვენი ჟურნალის მიზნების შესახებ აქ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ორიოდე სიტყვით.

ჩვენი ჟურნალი, თუმცა იგი არის ორგანო მწერალთა კავშირისა, მაგრამ მისი ინტერესები არ შემოიფარგლება მარტო ვიწრო ლიტერატურითი. ქართულ მწერლობას აქვს საპატო ტრადიცია, იყვეს შესვეური მთელი ქართული კულტურისა და იგი ეხლაც ვერ აუვლია ამ გზას. „კავკასიონი“ ყურადღებას აქცევს ქართული კულტურის ყველა დარგს:

ჟურნალი პირველ რიგში დაუთმობს თავის ფურცლებს ქართულ მხატვრულ მწერლობას, ქართული ლიტერატურული საკითხების განხილვას. აქ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი დგას ყოველგვარ ვიწრო ლიტერატურულ-ჯგუფური ინტერესების გარეშე. მწერალთა ჟურნალი პერიოდულად მოგითავსებს უცხოეთის ლიტერატურათა მიმოხილვას—თარგმანებს...

შემდეგი დარგი კავკასიონისა — ხელოვნება — განსაკუთრებით ითხოვს ქართველ მწერალთა ყურადღებასა და მეცვეურობას. ახალი ქართული ხელოვნება: მუსიკა, პლასტიური ხელოვნება და თვით თეატრიც, ჯერ კიდევ არ არის იმდენად მძლავრი, რომ არ საჭიროებდეს დიდ მზრუნველობასა და იდეოლოგიურ გაფმტკიცებას, და აქ მეთაური სიტყვა ჯერ ისევ ქართულ მწერლობას ეკუთვნის.

დასასრულ შემდეგი მთავარი დარგი კავკასიონისა: მეცნიერება და ფილოსოფია — ქართულს ენაზე უკვე გამოდის რამდენიმე სამეცნიერო კრებული სპეციალური ხასიათისა. ამიტომ კავკასიონს ეძლევა საშუალება გვერდი აუაროს ვიწრო—სკოლურ საკითხებს — კავკასიონი დაუთმობს თავის ფურცლებს უფრო ფართო მნიშვნელობის პრობლემის განხილვას. პირველ რიგში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებიან — ჟურნალში მონაწილეობენ ყვლა ჩვენი მთავარი სამეცნიერო ძალები.

ამ მთავარი დარგების გვერდით ჟურნალს ექნება განყოფილებანი: — ქართული კულტურის მიმოხილვა, სადაც განხილული იქნება მიმდინარე საკითხები, ქართული საზოგადოებრივ-კ ულ ტ ურ ულ ცხოვრებიდან.

მემუარები და დოკუმენტები, სადაც მოთავსებული იქნება საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობის მასალები და დასასრულ — კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და ინფორმაცია ყველა იმ დარგებიდან, რომლებიც შედიან ჟურნალში.

ასეთია ორი სიტყვით კავკასიონის სახე. მწერალთა კავშირი მიიღებს ზომებს, რომ ჟურნალი იდგეს თავის სიმაღლეზე, მაგრამ ჟურნალის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ქართველი საზოგადოების ყურადღებაზე.

16 თებერვალი, 1924 წ.
ქ. თბილისი

პავლე ინგოროყვა“.

ჟურნალის მთლიანი პათოსი უაღრესად პროგრესულია და მოწინავე. იმ დროს ამ ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა მწერლობის, ხელოვნების და მეცნიერების საქართველოსთან დაკავშირების საქმეში.

პავლე ინგოროყვამ ჟურნალებში „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონში“ თავი მოუყარა არა მარტო მწერლებს, არამედ მეცნიერებს და მეცნიერებს შორის არა მარტო ქართული ჰუმანიტარული დარგის ფუძემდებლებს: ივანე ჯავახიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, გრიგოლ წერეთელს, კორნელი კეკელიძეს, დიმიტრი უზნაძეს... არამედ თვით ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებლებს: ანდრია რაზმაძეს, ნიკო მუსხელიშვილს. სწორედ აქ („კავკასიონი“ № 3-4) დაიბეჭდა ანდრია რაზმაძის ვრცელი გამოკვლევა „რელატივობის მოძღვრება ეინშტეინისა“, იგი მეცნიერული ცხენების მხატვრული გადმოცემით იპყრობს ფართო მკითხველების ყურადღებას.

დიდი გემოვნებითა და კულტურით შერჩეულ აქ დაბეჭდილ თითქმის ყოველ ნაწარმოებს განუზომერებელი ორიგინალობის დაღი აზის. „კავკასიონის“ ლიტერატურული პოზიციები უფრო ღრმა და შინაარსიანი გახდა ეურნალ „ახალ კავკასიონში“. ეს ჟურნალი იხსნება კვლავ პ. ინგოროყვას ვრცელი სარედაქციო განცხადებით. აი ეს სარედაქციო წერილიც:

— „მწერალთა კავშირის ყოველთვიური ორგანო „ახალი კავკასიონის“ განახლებული პროგრამა განსაზღვრულია, ერთის მხრივ კავშირის ლიტერატურული ტენდაციებით, და მეორეს მხრივ, იმ პოზიციით, რომელზედაც სრულის პასუხისმგებლობით დადგა ქართული მწერლობა ხელოვანთა კულტურული კავშირის 21 სექტემბრის დეკლარაციით.

მწერალთა კავშირი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, იგი არის წმინდა ლიტერატურულ-კულტურული დაჯგუფება, მაგრამ თქმა იმისა, თითქოს ქართველ მწერალთა ფართო წრეები არ იყოს უაღრესად დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკური ვითარებით, ეს არ იქნება გულწრფელი განცხადება.

ქართული მწერლობის უკეთილშობილეს ტრადიციას წარმოადგენს ის შეურიგებელი რეგოლუციური სული, რომელიც ისტორიულად გამომუშავდა.

მაგრამ არსებობდა ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართო წრეებს ხელს უშლიდა ითავითვე დამდგარიყო აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული კითხვა.

ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობებში: თუ ერთის მხრივ ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ უნებლეთ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის პრინციპები მისდა უნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას, რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გადაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ, რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს. რომ რუსული წიგნი თანდათან დაჩრდილავდა ქართულს წიგნს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ იმ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლეთ ხელს უწყობდა ობიექტური პირობები. ეს მერყეობა და უნდობლობის გრძნობა ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეებში ადვილი ასახსნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტორიული რემინისცენცია, იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპერიალისტური რუსეთის ხელში, რომ დიდი ბასტაბის რუსეთის კულტურა დასჩაგრავდა ქართულს, იყო ბუნებრივი ყოველგვარი შოვინისტური ტენდენციების გარეშე.

უკვე მეოთხე წელი შესრულდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, და ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ და კულტურულ-პოლიტიკის ხაზში არის მნიშვნელოვანი მიღწევები. ქართულ მწერლობას არ სჩვევია სერვილიზმი და ჩვენ არ ვიქნებოდით გულწრფელნი, თუ არ ვიტყვით, რომ ამ მნიშვნელოვანი მიღწევების გვერდით არის დეფექტებიც. ამას თვით ხელისუფლებაც არ უარყოფს.

უნდა აღინიშნოს აქ ისიც, რომ ყველა ამ დეფექტის ბრალს ჩვენ ვერ მოვახვევთ საბჭოთა ხელისუფლებას. ამის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ქართველი შემოქმედი ინტელიგენცია არ იყო საბოლოოდ გამორკვეული და არ იღებდა ახლო მოხაწილეობას კულტურულ საქმიანობაში.

ასეთი გაორებული და გაურკვეველი მდგომარეობა, რასაკვირველია, შეუძლებელია გაგრძელდეს მთელი წლები. ამით მხოლოდ ბრკოლდება და ზიანდება ის კულტურული საქმე, რომლისთვისაც მოწოდებულია ქართული მწერლობა.

ამიტომ ის დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა ხელოვანთა კავშირმა 1924 წლის სექტემბრის 21-ს, გამოწვეული იყო არა მარტო პოლიტიკური მომენტით, ეს არის მტკიცე და გარკვეული პოზიცია, რომელზედაც დადგა ქართული მწერლობა.

— „ახალი კავკასიონი“ განაგრძობს ლიტერატურულ ტრადიციას — თავის ფურცლებს უთმობს ქართულ მხატვრულ მწერლობას, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ქართული ხელოვნების საკითხების განხილვას, მემუარულ ლიტერატურას“.

ასე რომ, „ახალმა კავკასიონმა“ გაგრძელა „კავკასიონის“ ტრადიცია ქართული მწერლობის ახალ საქართველოსთან დაკავშირებისა. ჟურნალი იხსნება ი. გრიშაშვილის ცნობილი ლექსით „დუდუკის საარი ქარს ალარ მოაქვს“. სწორედ ამ ლექსით იწყება ი. გრიშაშვილის, ძველი თბილისის ტრუბადურის მისვლა ახალ საქართველოსთან. პოეტმა აქ კატეგორიულად განაცხადა:

ძველო ტფილისო ჩემი მიზნები
ალარ მაქვს გულში, რომ
გინახავდი...
გადაწყდა! უნდა შევცვალო
გზები...
ძველო ტფილისო... გტოვებ...
ნახვამდის...

მაგრამ ამ ძველთაგან გამოთხოვება არ ხდება ძველის უარყოფით და წაშლით. არა:

მაგრამ ვიმაყობ, რომ ჩემთან
ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი...

წინაალმდეგ რაპპელებისა, რომლებიც წარსულს უარყოფდნენ, „როგორც მიუღებელს რევოლუციისათვის“, ჟურნალი „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“ და ამ შემთხვევაში ი. გრიშაშვილი სწორედ ძველის შენახვის, განვითარებისა და ახალთან ხიდის გადების მომხრეა. ამ პოზიციას იცავს აკადემიური ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი ალ. აბაშელიც ლექსით „მეოცნების დღიური“.

„მშვიდობით ჩემო საყვარელო
მელანქოლია,
შენზე უტკბესი მეგობარი მე
არ მყოლია,
ბევრჯერ მიგრძვნია შენი ცივი
ხელის შეხება
და დამიღვრია მწუხარება
ცრემლის ზღვაფად...
დროა გათავდეს ჭაბუკური
სისხლის თამაში,
ნიღაბთან ბრძოლით და
ნაღველით სულის გართობა.

ჟურნალების რედაქტორი პ. ინგოროყვა პირნათლად ასრულებდა შეპირებას, რომ ჟურნალი ყველა მმართველებისა და საკოლის წარმომადგენლებს დაუთმობდა თავის ფურცლებს. ამ ჟურნალმა მოახდინა ერთგვარი კონსოლიდაცია და შეკავშირება ქართველი მწერლებისა. „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ იყო ახალი, ევროპული ტიპის ჟურნალები საქართველოში. მან კულტურის მთელი ფრონტი გააერთიანა მწერლების, ხელოვნების, მეცნიერების მაღალი მოწოდებით და საქართველოს სამსახურში ჩაყენა, ეს იყო პ. ინგოროყვას, როგორც რედაქტორის ყველაზე დიდი დამსახურება.

ვინც მარტო უბრალოდ გადაიკითხავს ამ ჟურნალების შინაარსს, დაგვეთანხმება თუ რა გიგანტური შრომა იყო საჭირო ასეთი მაღალი დონის სქელტანიანი ჟურნალების გამოსაცემად. ასეთი დიდი ტვირთი მარტო ერთ კაცს აწვა მხრებზე. ეს კაცი პავლე ინგოროყვა იყო. ყველაფერი ეს ამშვენებს მას, როგორც დიდ საზოგადო მოღვაწეს, მწერალს, მეცნიერს.

სერგი ჭილაია.

ეს ეროვნული საქმეა

შეიქმნა გეოდეზიური საზოგადოება

ამ დღეებში თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დარბაზში გაიმართა საქართველოს გეოდეზიური საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია.

შარშან ივლისში შეიქმნა გეოდეზიური, აეროკოსმოსური გადაღებებისა და კარტოგრაფიის საკავშირო საზოგადოება. მალე მასთან ჩამოყალიბდა გეოდეზისა და კარტოგრაფიაში ტექნიკური მომსახურების ცენტრი, რომელმაც, თავის მხრივ, რესპუბლიკური საზოგადოებების შექმნის საკითხი წამოაყენა. მაგრამ ქართველმა გეოდეზისტებმა უარი თქვეს საკავშირო ცენტრიანი რეგიონალური ფილიალის შექმნაზე, მიიჩნიეს, რომ დღეანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში, ეროვნული აღორძინებისა და დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის ვითარებაში აუცილებელია შეიქმნას საქართველოს სრულიად დამოუკიდებელი გეოდეზიური საზოგადოება.

და აი, დამფუძნებელმა კონფერენციამ გამოაცხადა მისი შექმნა. ეს პროფესიული, შემოქმედებითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აერთიანებს გეოდეზიის, ტოპოგრაფიის, მარკშეიდერის, კარტოგრაფიის, ფოტოგრამმეტრიის, აეროკოსმოსური გადაღებების დარგში მომუშავე სპეციალისტებს, წარმოების მუშაკებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლებს, უფროსი კურსების სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, სინტეზირო-ტექნიკური და მეცნიერული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებაში. იგი წვლილს შეიტანს სამამული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ისტორიის კვლევასა და პოპულარიზაციაში; ხელს შეუწყობს ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გეოდეზიურ დისციპლინათა სწავლების მაღალ დონეზე წარმართვას; სპეციალისტებს დაუხმარება სამეცნიერო და ტექნიკური შემოქმედების ყოველმხრივ განვითარებაში.

შემუშავებულია ღონისძიებათა შინაარსიანი გეგმა. იგი ითვალისწინებს გარემოს დაცვაში, ისტორიული ძეგლების მოვლა-აღდგენაში, არქეოლოგიურ სამუშაოებში, ტურიზმის განვითარებაში, საკურორტო ზონების, ეროვნული პარკების, ნაკრძალებისა და ტურისტული მარშრუტების დაწერილებითი რუკებისა და ატლასების შექმნაში მონაწილეობას.

ამ საზოგადოების ჩამოყალიბება ეროვნული საქმეა. როგორც კონფერენციაზე ითქვა, დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ტოპო-გეოდეზიურ სამუშაოებს 50-ზე მეტი ორგანიზაცია, 11 კოოპერატივი, სამხედრო უწყება და თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა აწარმოებს, მაგრამ გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და მარკშეიდერული სამსახური რესპუბლიკის ყველა უწყებაში ერთობ არადამაკმაყოფილებელია. თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის აღმასკომებთან, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებში, აგრეთვე ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტში ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამსახური ფაქტობრივად არ არსებობს...

კონფერენციამ საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი მერაბ თევზაძე.

ინგა ალავიძე.

„ქართული მწერლობა“

— **ამიერიდან** ამ ახალი სახელწოდებით მიიღებს მკითხველი საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ-კრიტიკულ ალმანახს. ეს პირველი ნომერია წინანდელი ალმანახისა „კრიტიკა“, რომელმაც სახელთან ერთად იერიც შეიცვალა. განახლებულია სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა. „ამოიცემის რედაქტორია კრიტიკოსი თეიმურაზ დოიაშვილი. ალმანახს ამშვენებს თენგიზ მირზაშვილის ორიგინალურად შესრულებული ნამუშევარი — აბრევიატურა „ქმ“, რომელიც გამოცემის თავისებურ სიმბოლოდ წარმოგვიდგება.

ალმანახს ნათლობას და ახალ სიცოცხლეს ულოცავენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი მუხრან მაჭავარიანი, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიკოსმდივანი როინ მეტრეველი, სატელევიზიო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სულხან ცინცაძე. ისინი კეთილ სურვილებთან ერთად იმედს გამოთქვამენ, რომ ალმანახი ქართული ლიტერატურის პირუთვნელი შემფასებელი იქნება და ღირსეულად შეასრულებს თავის კეთილშობილურ მისიას.

სარედაქციო წერილში „მკითხველისადმი“ გადმოცემულია ალმანახის სადღესასწაულო ამოცანები, მისი სამომავლო გეგმები. გამოცემას რამდენიმე რუბრიკა აქვს, სადაც იბეჭდება საინტერესო მასალები. მათ შორისაა გურამ ბენაშვილის წერილი, რომელიც ოთარ ჭილაძის პოეზიას ეძღვნება, ნაწყვეტი აკაკი ბაქრაძის ნაშრომიდან „მწერლობის მოთვალიერება“. გურამ შარაძის მიერ მომზადებული ქართველი ემიგრანტების მ. წულუკიძის, ზურაბ ავალიშვილის, მიხაკო წერეთლის, მახეილ ბილანიშვილის პუბლიკაციები.

მკითხველი გაეცნობა ალექსანდრე ბარამიძის რეპლიკას და „წერილი რედაქციას“, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას ეხება.

„ზოგჯერ თქმა სჯობს...“ — ამ რუბრიკით დასტამბულია თეიმურაზ დოიაშვილის და ლევან ბრეგაძის წერილი „ძმაო რუქავ!“, რომელიც კრიტიკოს თ. წივწივაძის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიების პასუხია.

„როგორ თარგმნიდნენ ნოდარ დუმბაძეს“ — ზურაბ ასკანელის ამ წერილში განხილულია მწერლის ნაწარმოებთა რუსული თარგმანები. ალმანახში იბეჭდება გუგული მგელაძის, ელიზბარ მათითაიშვილის, გიგი კეშელავას მ

რუსთაველის სახელობის თეატრის მორიგი წარმატება

ცნობილი ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე ეს-ეს არის დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ერთი თვის მანძილზე სხვადასხვა ქალაქში კითხულობდა ლექციებს ძველი კოლხეთის შესახებ. ნიუ-იორკში ყოფნისას ბატონმა ოთარმა გაიზიარა იმ წარმატების სიხარული, რომელიც გამოიწვია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლმა „მეფე ლირმა". როგორც ცნობილია, ამ ერთ-ერთი საუკეთესო დადგმით წარსდგნენ რუსთაველელები ბრუკლინის მუსიკის აკადემიის ცენტრში ხელოვნების დათვალიერებაზე. როგორც მეცნიერმა გვაცნობა, დამსწრე საზოგადოებრიობამ ფეხზე ადგომით ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა ქართველ მსახიობებს. პატივისცემის ნიშნად დასი მეორე დღესვე გერშვინის თეატრმა მიიწვია თავის სპექტაკლზე, რის შემდეგაც ქართველი მსახიობები სცენაზე გამოძახეს. რუსთაველელთა წარმოდგენას მაშინვე გამოეხმაურა პრესა. ბატონმა ოთარმა რედაქციას გადმოსცა „ნიუ-იორკ ტაიმსის" სწორედ ის ნომერი, რომელიც რუსთაველელთა სპექტაკლს ეხმიანება. რეცენზია გამოქვეყნებულია ხელოვნებისადმი მიძღვნილი ნაწილის პირველსავე გვერდზე, რითაც აღინიშნება ხოლმე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. მკითხველს ვთავაზობთ ამ რეცენზიის **ლია ლორიასეულ** თარგმანს შემოკლებით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: რამაზ ჩხიკვაძე ამერიკელ მაყურებლებთან.

ა. რუხაძის ტელეფოტო. („საქინფორმი").

ქართველების „ნამდვილი" ლირი

რობერტ სტურუამ გამახორციელა „მეფე ლირის" ბრწყინვალე დადგმა! სპექტაკლი იმდენად ძლიერი და სრულყოფილია, რომ მაყურებლისთვის ნათელი ხდება, თუ რატომ აღიქვამს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის დასი შექსპირს ეროვნულ დრამატურგად.

ამ სახელგანთქმულმა კოლექტივმა თავისი ერთვვირიანი გასტროლები დაიწყო ბრუკლინის მუსიკის აკადემიის თეატრში.

რობერტ სტურუას ინტერპრეტაციაში სპექტაკლი ლირის გამოჩენის მოლოდინით იწყება. მეფის კარი დიდხანს ელოდება მას. ჰერცოგი ოლბანი კარგავს კიდეც გრძნობას. და აი, ბებრული ნაბიჯებით, გალიით ხელში გამოჩნდება ლირი — თითქოსდა სიბერის ჭკუასუსტობით შეპყრობილი დიქტატორი. იგი ჭირვეულობს — ხან ანებივრებს კორდელიას, ხან კი ხელს ჰკრავს მას. სამეფოს გაყოფის შემდეგ კი ნამდვილ სატანად იქცევა. ერთი შეხედვით, მისი საქციელი სულელი კაცის საქციელია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის! რამაზ ჩხიკვაძე მთელი სიღრმით აგიშვლებს მის წინააღმდეგობებით აღსავსე რთულ სახეს — სახეს მეფისა, რომელიც არასდროს არ იტყვის უარს ძალაუფლებაზე.

მართალია, თანამედროვე კოსტიუმებში გამოწყობილი მსახიობები ქართულად მეტყველებენ და პიესის ფინალი შეცვლილია — ჩვენს წინაშე მაინც ჭეშმარიტი „ლირია". სპექტაკლი არ წაგავს ლი ბრეიერის ვერსიას, რომელშიც გმირები ამერიკის შტატ — ჯორჯიაში მოქმედებენ. რობერტ სტურუას „მეფე ლირი" დიდებული სპექტაკლია, რომელშიც ამოცნობილია ტრაგედიის არსი — იმედგაცრუებითა და ტანჯვის გზით მისვლა თვითშემეცნებამდე.

მსახიობები ოსტატურად ფლობენ ირონიის ხერხებს. რამაზ ჩხიკვაძის თამაში აგებულია მოულოდნელობებზე. იგი ვირტუოზულად იყენებს თავის აქტიორულ მონაცემებს და ემსგავსება ბუნების დაუფარჩილებელ სტიქიას!

ლირის ქალიშვილების როლების შემსრულებლები დახვენილობითა და ელეგანტურობით გამოირჩევიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ავთანდილ მახარაძისა (გლოსტერი) და ეანრი ლოლაშვილის (მასხარა) ვირტუოზული თამაში.

სპექტაკელი, ამავე პიესის პიტერ ბრუკისეულ დადგმასთან შედარებით გამოირჩევა რეჟისორის უსაზღვრო ფანტაზიით. მაყურებელს არ ესმის ქართული ენა, მაგრამ, ინგმარ ბერგმანის „ჰამლეტის" და აკირო კუროსავას შექსპირის კინოვერსიების მსგავსად, რობერტ სტურუას „მეფე ლირი" შლის ყოველგვარ ცნობიერებას.

ბერგმანის ჰამლეტი მთავრდება ელსინორის აღებით. ბატონ სტურუას სპექტაკლის ფინალში კი ლირი რჩება მკვდარ კორდელიასთან ერთად დარბეულ სამყაროში. ეს ერთადერთი ცოცხალი ადამიანია, რომელიც თვითონ განადგურებული აღმოჩნდა პირისპირ დამხობილი განადგურებული სამეფოს წინაშე!

თეატრი თეატრში — დეკორაციები ინგრევა, უკანასკნელ სცენაში რობერტ სტურუამ გვიჩვენა აპოკალიფსის საზარელი სურათი.

მელ გასსოუ,
თეატრალური მიმომხილველი.

დრო და ხელოვანი

ჩვენი მუზეუმიერი ელენე

ელენე საყვარელიძესთან აფხაზეთის სიყვარულმა დამამეგობრა. იგი სოხუმის თეატრის მსახიობი იყო, მე აფხაზ პოეტებს ვთარგმნიდი გატაცებით.

ამ ცეცხლმა შეგვაყარა ერთად შარშან თბილისში გამართულ ფიტინგზე — აფხაზეთზე ფიქრმა დაგვრია ხელი. 7 აპრილს მთავრობის სახლის წინ იდგა, ხელში მიკროფონი ეჭირა და ზღვა ხალხს დიდი ილიას სიტყვებით ამწყალობებდა. „შენ ხარ, მარტო შენ! მაგალითი სხვა არსად არის, რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს..."

ისიც გვაკვშირებდა, ორთავეს მამები რომ წაგვართვეს ბავშვობისას. ელენეს ადრე, 1937-ში, მე გვიან — 1951 წელს.

დღეს სცენის ოსტატი ქართული სიტყვის მსახურიც რომ გახდა, ამ ამბავმა კიდევ უფრო შემაყვარა ეს გონიერი, კეთილშობილი ქალბატონი.

ახლა ელენე საყვარელიძე მისი მშობლიური რუსთაველის თეატრის კოლექტივმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებაზე წარადგინა, რაც მან ჭეშმარიტად დაიმსახურა თავისი ხელოვნებით, შრომით და ქართველქალობით.

მარტო საქართველოში კი არა, ელენეს კარგად იცობენ მის ფარგლებს გარეთაც. უნგრეთშიც ხშირად უწევს ჩასვლა — ჩვენი ქვეყნების მეგობრობის საზოგადოების ერთ-ერთი მესვეურია, აგერ უკვე 25 წელია. ამ ურთიერთობამ კოსმონავტებთან კუბასო